თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1364647

ნომერი: AR1228333

თარიღი : 12.06.2014

გაცემის თარიღი : 02.07.2014

გაცნობის თარიღი : 04.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:
- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

ფასადზე  ბანკომატის  და სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მოსკოვის გამზ. #39–ში, თანასაკუთრების ფართის ფასადზე (მოიჯარე სს „პროკრედიტ ბანკი“),  ბანკომატის  და სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014050235  06/02/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.19.35.002.001.01.501;  იჯარის ხელშეკრულება; მინდობილობა; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მოსკოვის გამზ. #39–ში, თანასაკუთრების ფართის ფასადზე (მოიჯარე სს „პროკრედიტ ბანკი“),  ბანკომატის  და სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობის შესაძლებლობას.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge